ევროკავშირი
საქართველოსთვის
Human Rights 4All

UNITED NATIONS
HUMAN RIGHTS
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER

UNDP
Empowered lives
Resilient nations.

საქართველოს 2014 – 2020 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის განხორციელება

მიღწევები, გამოწვევები და რეკომენდაციები

მოკლე მიმოხილვა

მომზადებულია: მეგი ნიკოლსონი*
გიორგი ჩხეიძესთან და თამარ ქალდანთან** თანამშრომლობით

დამოუკიდებელი კონსულტანტები

* მუშაობდა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ნიუ იორკის ოფისში, ევროპის საბჭოში, ორგანიზაციებში „Human Rights First" და „Amnesty International"
** ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი კონსულტანტები, რომლებიც ანგარიშის შემუშავებაში მონაწილეობდნენ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მოწვევით

პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

ოქტომბერი 2019

მოკლე მიმოხილვა

2014 – 2020 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო. ვინაიდან მისი ვადის ამოწურვამდე ერთი წელია დარჩენილი და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებიც ახლოვდება, ჩაითვალა რომ კარგი დროა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის და მასთან ასოცირებული ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებაში მიღწეული პროგრესის შეფასებისთვის. მიმდინარე ანგარიში ეფუძნება 2016 – 2017 წლებში ჩატარებულ შუალედურ შეფასებას, რომელიც საქართველოს პარლამენტს 2017 წლის აპრილში წარედგინა.[1]

ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის - „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ - ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით, ორ ადგილობრივ ექსპერტთან ერთად, მთხოვეს ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში ასახულ საკითხებთან დაკავშირებული ანგარიშების შეგროვება და ანალიზი; აგრეთვე 8-14 სექტემბერს ვიმყოფებოდი თბილისში, რომ შევხვედროდი მთავრობის, პარლამენტის, სახალხო დამცველის ოფისის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის, დონორების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შეხვედრების და დოკუმენტების ანალიზის შედეგად შეგროვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ფართო სურათს, ასახავს მიღწეულ პროგრესს, ისევე როგორც ეხება დარჩენილ თუ ახლად წარმოქმნილ გამოწვევებს.

ანგარიში - 2014 წელს ეროვნული სტრატეგიის მიღებიდან, 2019 წლის სექტემბრის ბოლომდე - პერიოდს მოიცავს. ის არ ეხება ინსტიტუციურ მექანიზმს, რომელიც ეროვნული სტრატეგიით შესრულების კოორდინაციის მიზნით შეიქმნა, ამ საკითხზე ცალკე კვლევები მომზადდა 2015 წლის ნოემბერსა[2] და 2019 წლის იანვარში[3]. აღნიშნულზე დისკუსიები კვლავაც

[1] USAID/UNDP, ანგარიში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით, მეგი ნიკოლსონი, მარტი 2017.

[2] მარკ ლაიმონ, საქართველოს ადამიანის უფლებათა საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და ორგანიზაციული განვითარება, ბოემბერ 2015.

[3] პროფესორი დოქტორი ჯერემი სარკინი, ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) როლის გაძლიერება და მისი ტრანსფორმირება ანგარიშგებისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის ეროვნულ მექანიზმად (NMRF) გლობალური პრაქტიკის შესაბამისად, იანვარი 2019

გრძელდება. წინამდებარი ანგარიშში მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა სტრატეგიის მნიშვნელოვან 23 მიმართულებას.

მიგნებები და რეკომენდაციები არის ზოგადი და კონკრეტულიც. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიის ტექსტი, საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, კვლავაც მთავრობის მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტად რჩება და მოქმედებს, როგორც ადამიანის უფლებების ეროვნულ დონეზე დაცვის ღირებული და მყარი საბაზისო წერტილი.

ეროვნული სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმების ფარგლებში ჩატარებული სამუშაო ძირითადად ორიენტირებულია საკანონმდებლო და პოლიტიკის რეფორმაზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონსტიტუციური ცვლილებები და ახალი კანონები დისკრიმინაციის აკრძალვის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, შრომის უსაფრთხოების, ბავშვთა უფლებების და მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებლების დაცვის შესახებ. შემდგომ პერიოდში, განსაკურებული **ყურადღება უნდა დაეთმოს ამ კანონებისა და პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგს და მათ გავლენას ადამიანის უფლებების დაცვაზე.** წინამდებარე ანგარიშის თანახმად, სახალხო დამცველის როლი ამ პროცესში ცენტრალურია, თუმცა პარლამენტს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ზედამხედველობის პასუხისმგებლობა აქვს როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ შემთხვევებში.

გასული ექვსი წლის განმავლობაში ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა ეროვნული სტრატეგიის კონკრეტულ ქმედებაში ასახვას, რაც გამოიხატებოდა სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დეტალურად გათვლილი და ტექნიკური ხასიათის იყო. ეროვნული სტრატეგიის თავდაპირველი ხედვის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა, მთავრობამ და სხვა ნებისმიერი საფეხურის ხელისუფალმა, კიდევ ერთხელ დაადასტუროს მათი ვალდებულება, პოლიტიკის და პროგრამების ფორმულირების, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების პროცესში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგ კურსები, მომზადდა სახელმძღვანელო მითითებები და განხორციელდა რიგი ინიციატივები, თუმცა ამ ყველაფერით შედეგის

მიღებას სჭირდება დრო, ერთობლივი ძალისხმევა და ხელმძღვანელობა. ადამიანის უფლებების კულტურამ, ჯერ კიდევ მტკიცედ უნდა გაიდგას ფესვი მთელ ქვეყანაში. პარლამენტარების, სამთავრობო ლიდერებისა თუ სასულიერო პირებისათვის ეს უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს. მათ ხმა უნდა აიმაღლონ და მხარდაჭერა გამოუცხადონ ტოლერანტობას, თანასწორობას და უარი უთხრან დისკრიმინაციას, ვინაიდან ამ პირების გავლენა საზოგადოებაზე საკმაოდ დიდია. ყველა ლიდერი გამუდმებით უნდა აცხადებდეს, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია და ეს გზავნილი ყველგან, ყველა სახელმწიფო სამსახურში, ქალაქში და რეგიონში უნდა გავრცელდეს.

ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საქართველო საკმაოდ დიდი გამოწვევის წინაშე დგას, ბიზნეს წრეების წარმომადგენლები კიდევ მეტად უნდა ინტერესდებოდნენ ეროვნული სტრატეგიით და განსაკუთრებით იმ სფეროებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სამუშაო გარემოსთან.

ანგარიშში მოცემული ზოგიერთი **მიგნებები და რეკომენდაციები:**

- ✔ **გამჭვირვალე, დემოკრატიული კანონშემოქმედების** კულტურის განვითარება, რომელიც დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით სახალხო დამცველის და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციებს მოიცავს, უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს. კანონპროექტის შედგენისას შეფერხების შემთხვევაში დაუყოვნებლივ და ნათლად უნდა ეცნობოს დაინტერესებულ პირებს, და ერთიანი ძალებით გადაილახოს ნებისმიერი დაბრკოლება.
- ✔ **მოსამართლეების და პროკურორების დამოუკიდებლობი**ს პრაქტიკაში უზრუნველყოფის საკითხი კვლავაც აქტიურად უნდა განიხილებოდეს.
- ✔ ეროვნულ სტრატეგიის ინსტიტუციური დემოკრატიის სულისკვეთების გათვალისწინებით, ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს **მედია პლურალიზმის დაცვისაკენ.** საქართველომ უფრო მაღალი პოზიცია უნდა დაიკავოს თავისუფალი პრესის რეიტინგში.
- ✔ ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის წახალისება უნდა ხდებოდეს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულ კარიერულ სისტემაში, როგორც დაქირავებისას, ისე დაწინაურების ეტაპებზე.

- ✔ შემდგომში ყურადღება უნდა მიექცეს **ადგილობრივი მთავრობის როლს** ეროვნული სტრატეგიის სხვადასხვა ელემენტების რეალიზაციის პროცესში.
- ✔ სამომავლო სამოქმედო გეგმების ფარგლებში უნდა შემუშავდეს ქვემოთ განხილულ სფეროებთან დაკავშირებული დამატებითი კრეატიული და ინოვაციური **საინფორმაციო პროგრამები**, განსაკუთრებით რეგიონებში.

ანგარიში მიესალმება სტრატეგიაში მითითებულ ყველა საკითხთან მიმართებით მიღწეულ როგორც დიდ, ასევე მცირე პროგრესს. ეს დაეხმარება შემდგომი ქმედებების დაგეგმვას.

ანგარიშში აღნიშნულია **არა ერთი ძალიან პოზიტიური ცვლილება** მართლმსაჯულების სისტემის, სასჯელაღსრულების დაწესებულებების და წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიმართულებით.

მათ შორის ყველაზე აღსანიშნავია დიდი ხნის ლოდინის შემდეგ 2019 წელს დაარსებული დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომლის ფუნქციაც არის სამართალდამცავების მხრიდან სავარაუდო გადაცდომების შემთხვევების შესწავლა. მისასალმებელია მთავრობის მესიჯი სამსახურის შექმნით დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ამასთან აუცილებელია, რომ სახელმწიფო ინსპექტორი უზრუნველყოფილი იყოს ყოველგვარი საჭირო რესურსით, რათა საწყის ეტაპზე მოახდინოს ეფექტური რეაგირება. საჭიროა ასევე მათ საქმიანობაში პროკურატურის და სასამართლოს მხარდაჭერა.

საყოველთაოდ მოწონებული იქნა 2018 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროში **ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა** ოჯახური ძალადობის კონკრეტული შემთხვევების დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული მკვლელობების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. აღსანიშნავია ასევე, დეპარტამენტის მიერ ისეთი სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება, რომელთა საშუალებით ერთის მხრივ ხდება ასეთი დანაშაულების ეფექტური გამოძიების ხელშეწყობა, მეორეს მხრივ კი სამართალდამცავი ოფიცრების შესაძლებლობების გაძლიერება.

სხვა საკითხებთან ერთად, სამომავლოდ გათვალისწინებულ უნდა იყოს შემდეგი:

- ✔ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნა ციხეებში გადატვირთულობის პრობლემის აღმოფხვრის მიმართულებით, თუმცა, ჯანდაცვა, კერძოდ ფსიქიატრიული საჭიროებები და ნარკოტიკების მოხმარება, ასევე მაღალი რისკის კატეგორიის პატიმრების რეაბილიტაცია კვლავ პრობლემად რჩება; შემაშფოთებელია აგრეთვე ბევრ დაწესებულებაში არსებული „მაყურებლების“ კონტროლი.
- ✔ გაუგებარია ასევე რატომ არ წარედგინა პარლამენტს დაახლოებით ხუთი წლის წინ შემუშავებული, განახლებული **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.**
- ✔ მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის აღსადგენად საჭიროა კონკრეტული მტკიცებულებები, რომ **მოსამართლეთა დანიშვნა დაემყარება** სამართლიან, ობიექტურ კრიტერიუმებს, ხოლო ნებისმიერ ჩარევა ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობაში, სისტემის შიგნით ან მის გარეთ, ექნება ადექვატური პასუხი.
- ✔ მნიშვნელოვანია ვიხილოთ საკონსტიტუციო რეფორმების შესაბამისად პროკურატურის მიერ შესწორებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
- ✔ არსებობს მართლმსაჯულების სისტემის ყველა თანამშრომლის **პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების** საჭიროება. ასევე ძალიან სასარგებლო იქნებოდა კოორდინირებული ტრენინგ პროგრამები, რომელშიც სამართალდამცავი ორგანოების ყველა წარმომადგენელი და ადვოკატი ჩაერთვება. ადამიანის უფლებების პატივისცემა უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს მოსამართლეების, პროკურორების, თუ სამართალდამცავთა შერჩევისა და დაწინაურების პროცესში.
- ✔ სამომავლო გეგმებში გათვალისწინებული უნდა იქნას **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ფინანსთა სამინისტროს** წარმომადგენლების პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით.

ეჭვგარეშეა რომ ეროვნული სტრატეგიის ამოქმედების შემდგომ, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მთავარ მიღწევად 2015 წლის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უნდა ჩაითვალოს. მისი შექმნის მიზანია ბავშვთა ინტერესების დაცვა და დევნის ალტერნატიული გზების ძიება. თუმცა შეშფოთების მიზეზი მაინც არსებობს, კერძოდ

მის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობებთან დაკავშრებით; შესაბამისად საჭიროა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლების სპეციალიზაცია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის გაძლიერება, ხოლო ამ ასაკობრივ ჯგუფს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვანთა დანაშაულების პრევენციას და ბავშვების ქუჩაში ცხოვრებისაგან დაცვას.

საქართველოში კრიტიკულ საკითხად რჩება **პირადი ცხოვრების დაცვის** უფლება. **პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის ამოქმედება და პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის** დანიშვნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო პრობლემების მოგვარებისკენ. იმედია სახელმწიფო ინსპექტორი, რომელმაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ფუნქციები იტვირთა, განაგრძობს აუცილებელი რესურსების მოძიებას ამ მიმართულებით წინსვლის შენარჩუნებისთვის.

როგორც ბოლო მოვლენებმა გვაჩვენა, საქართველოს კანონმდებლობა შეკრების თავისუფლებასა და განსაკუთრებით დემონსტრაციებთან დაკავშირებით, კვლავაც საჭიროებს საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. ამავდროულად, საჭიროა მშვიდობიანი შეკრებისა და დემონსტრაციის უფლების დარღვევასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების სტატისტიკის შეგროვება და გამოქვეყნება. აღსანიშნავია, ასევე კანონპროექტი **ინფორმაციის თავისუფლების შესახებ,** რომელიც 2014 წლიდან მზადების პროცესშია და კვლავ არ არის დასრულებული.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც 2014 წელს განისაზღვრა როგორც რელიგიის თავისუფლებაზე პასუხისმგებელი მთავარი მოქმედი პირი, დაბალი ნდობით სარგებლობს, რაც მისი სტატუსის გადახედვის საჭიროებაზე მითითებს. ამავდროულად, აღსანიშნავია საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების 2017 და 2018 წლების გადაწყვეტილებები, რომლებიც ძირითადად გადასახადებსა და ქონებას ეხება და მიმართულია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გარდა ქვეყანაში მოქმედი სხვა კონფესიების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამოსწორებისკენ.

2014 წელს **დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს,** რადგან

ქმნის ყველა ადამიანის თანასწორობის დაცვის შესაძლებლობასა. რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრით, საქართველოში მთავარ გამოწვევას **სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები** წარმოადგენს; ამასთან შემაშფოთებელია რომ სახელმწიფო სათანადოდ არ რეაგირებს ულტრა მემარჯვენე ექსტრემისტების და ნაციონალისტების მიერ ეთნიკური უმცირესობების მიმართ განხორციელებულ ქმედებებსა და მესიჯებზე. იმედია, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს ამგვარი საქმეების უფრო ეფექტურ და დროულ გამოძიებას და დევნას. თუმცა, ამ სფეროში ეფექტური ცვლილება იწყება ლიდერებისგან, რომლებმაც საჯაროდ უნდა დაიცვან ტოლერანტობისა და ანტი-დისკრიმინაციული პრინციპები, განსაკუთრებით LGBTQI თემის წარმომადგენლებთან მიმართებით. LGBTQI პირების დაცვა საჭიროებს კონკრეტულ სტრატეგიასა და სახელმძღვანელო მითითებებს, შესაბამის სანქციებთან ერთად.

2019 წლის სექტემბერში საქართველოს პარალმენტმა ბავშვთა უფლებათა კოდექსი მიიღო. მიჩნეულია, რომ კანონი წარმოადგენს ქოლგა სახელმძღვანელო დოკუმენტს ადგილობრივი ხელისუფლების, სასამართლოა და საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებისთვის ბავშვებთან დაკავშირებით საკითხებზე მუშაობისას. კოდექსის არსებობა მისასალმებელი ნაბიჯია, ახლა კი მთელი ძალისხმევა მისი პრაქტიკაში დანერგვისაკენ უნდა მივმართოთ, რათა აღნიშნულმა საქართველოში ბავშვების ცხოვრებაზე, გრძელვადიანი, დადებითი გავლენა მოახდინოს. მრავალი ინიციატივის წარმატება ბავშვების დაცვის თვალსაზრისით, დამოკიდებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფაზე, რომლის მიზანი იქნება სიღარიბის შემცირება, რადგან სწორედ ეს არის ბავშვების მრავალი პრობლემის საფუძველი.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობას. საჭიროა უფრო ძლიერი მექანიზმების ამოქმედება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით. 2019 წლის თებერვალში, პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო შესწორებები, რომლებიც კრძალავდა შევიწროვებას, მათ შორის სექსუალური ხასიათის, და საინტერესოა დავაკვირდეთ თუ როგორ აისახება ეს ზომები პრაქტიკაში. მისასალმებელია, რომ მეტი ყურადღება ეთმობა **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღმოფხვრისა და ამ საკითხის შესახებ ცნობიერების ამაღლების ზომებს,** კერძოდ კი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობას შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ მიმართულებით, რომელიც ასევე მოიცავს ჯარიმების გამკაცრებასა და შემაკავებელი ორდერების გამოყენებას.

2013 წელს საქართველოს მიერ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის** რატიფიცირება მნიშვნელოვანი დადებითი ნაბიჯი იყო, ისევე როგორც 2018 წელს გადასინჯული კონსტიტუციის მუხლი თანასწორობის უფლების შესახებ (მუხლი 11), რომელიც სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას შექმნას სპეციალური პირობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების და ინტერესების რეალიზაციისთვის. თუმცა ეროვნული კანონმდებლობა კვლავ მოითხოვს კონვენციასთან მისი შესაბამისობის მიმოხილვას. უნდა გაგრძელდეს ინტენსიური ძალისხმევა სათანადო საცხოვრისის, დასაქმების და განათლების შესაძლებლობების შესაქმნელად, ასევე საზოგადოების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ აღქმების ცვლილების მიმართულებით. კვლავაც საჭიროა ეფექტური ეროვნული შიდა მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კონვენციის იმპლემენტაციის კოორდინაციაზე.

2013 წელს განხორციელდა რამდენიმე პროგრამა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გრძელვადიანი საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად (IDPs). მიუხედავად იმისა, რომ პრიორიტეტი გაუარესებულ პირობებში მცხოვრებ პირებს ენიჭება, მაინც საჭიროა წინასწარი შეფასების გაკეთება, რათა მოხდეს ყველა დევნილის საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ დასრულდა მუშაობა დევნილთა საჭიროებაზე დაფუძნებული დახმარების გაწევის კონცეფციაზე, რომელიც მიღებას საჭიროებს იმპლემენტაციის და საკომუნიკაციო სტრატეგიებთან ერთად.

გარკვეული ძალისხმევაა საჭირო **გამყოფ ხაზთან მცხოვრებ პირთა** კონკრეტული სირთულეების გადასალახად, განსაკუთრებით მიწებისა და საკუთრების უფლებასთან მიმართებაში. ასევე მნიშვნელოვანია განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე ზრუნვის მიმართულებით მუშაობა. ამასთან უნდა მოიძებნოს გზები მათი უსაფრთხოების დაცვისათვის.

წინა მთავრობების დროს **საკუთრებისა და მიწის უფლებების** მასშტაბური დარღვევის პრობლემის მოგვარების მიზნით, 2016 წელს ამოქმედდა მიწების რეგისტრაციის ხელშემწყობი კანონი. კანონის მოქმედების ვადა 2020 წელს იწურება და ამ დროისათვის საჭიროა საფუძვლიანი შეფასება, რათა დადგინდეს რა არის საზოგადოების ინტერესში კანონის მოქმედების ვადის გაგრძელება თუ სხვა საკანონმდებლო ცვლილებები. ამასთან, 2017 წლის აპრილში პარლამენტისთვის წარდგენილი კანონპროექტი კერძო ქონების გასხვისების შესახებ, რომელიც აზუსტებს ექსპროპრიაციის საჭიროების და კომპენსაციის საკითხებს, კვლავაც დასრულებას საჭიროებს.

2018 და 2019 წლებში მიღებულია ახალი კანონები **შრომის უსაფრთხოების შესახებ**, რაც მიზნად ისახავს პროფესიული დაავადებების და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების გამოვლენასა და პრევენციას, ასევე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მანდატის გაფართოვებას, რათა მოიცვას ყველა ეკონომიკური აქტივობა და წინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე შევიდეს მათ შენობა-ნაგებობებში. მიმდინარეობს ასევე მუშაობა უფრო ძლიერი, დამოუკიდებელი ინსპექტირების სისტემის შექმნის მიმართულებით. გარდა ამისა, 2019 წლის თებერვალსა და მაისში, შრომის კოდექსში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები **დისკრიმინაციის, შეურაცხყოფისა, და სექსუალური შევიწროვების** პრობლემების მოგვარების მიზნით; ამ ნორმების პრაქტიკაში განხორციელება ყურადღებით იქნება შესწავლილი.

2015 წლიდან გაწეული ძალისხმევა წარმატებული აღმოჩნდა თავშესაფრის მაძიებელთა საქმეების შესწავლის დაგვიანების შემცირების მიმართულებით. 2016 წლის დეკემბერში მიღებული ახალი **კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ**, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 თებერვალს, რითაც ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტებთან თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან მიმართებით. ორივე ზემოთ აღნიშნული ცვლილება მისასალმებელია, თუმცა კვლავაც საჭიროა ყურადღება, კერძოდ კი თავშესაფრის მოთხოვნის უარის შემთხვევაში გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებით.

შემაშფოთებელია **ეკო-მიგრანტების** მდგომარეობა და მათი რაოდენობის ზრდა, ამიტომ რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს დისკუსია იმაზე თუ მათი უფლებების დაცვა მოხდეს ახალი ცალკე კანონით თუ მოქმედ კანონმდებლობაში მათი გათვალისწინების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დიდი ძალისხმევა გასწია **ადამიანების ტრეფიკინგთან** წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, გამოძიებული საქმეების, დევნილი და მსჯავრდებული ტრეფიკერების და მსხვერპლის სტატუსი მქონე პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალია. ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე ექსპერტების ჯგუფის რეკომენდაციები (GRETA) სამომავლოდ საჭირო ქმედებების შესახებ მოცემულია ტრეფიკინგის დაძლევის საგზაო რუქაზე, რაც სამომავლოდ ამ სფეროში ეფექტური შედეგების მიღწევას ისახავს მიზნად.

2017 წელს განახლდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულება გარემოს დაცვის შესახებ (29-ე მუხლი), რომელიც განსაზღვრავს ყველა ადამიანის უფლებას იცხოვროს ჯანმრთელ გარემოში და მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ და დროულად მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას. საზოგადოების მონაწილეობა რეალური უნდა გახდეს პრაქტიკაში, ამისათვის საჭიროა მუშაობის გაგრძელება, სახელმწიფო ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ძლიერი და მჭიდრო კავშირის გზით.

სხვა მიგნებები და რეკომენდაციები მოცემულია ანგარიშის სრულ ვერსიაში. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარ ანგარიში დაეხმარება შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, შეაფასონ საკუთარი პროგრესი და დაფიქრდნენ, თუ როგორ მიაღწიონ მთავარ მიზანს - ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპების დაცვას, ნებისმიერი სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების კულტურის განვითარებას მთელ ქვეყანაში. ვიმედოვნებთ, რომ ეს ანგარიში იქნება სასარგებლო დოკუმენტი ადამიანის უფლებების დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისათვის 2020 წლის შემდეგ.